დანართი N1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ინტელექტი

შეფასების თარიღ(ებ)ი : 7-8 ივლისი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი : 9 აგვისტო 2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ინტელექტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240393409

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქობო
იურიდიული მისამართი	ქალაქი წნორი , ბაგრატიონის მეორე შესახვევი №3
ფაქტობრივი მისამართი	რაიონი სიღნაღი, სოფელი საქობო, ქუჩა უნივერსიტეტი, №32
საფოსტო ინდექსი	4208
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://signagi-inteleqti.edupage.org/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	inteleqtiliceumi@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0355 590826
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნუგზარ ეხვაია
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	555 59 08 26
ელ-ფოსტა	nugzariexvaia@yahoo.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29/06/2022 MES 9 22 0000725312 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	7 და 8 ივლისი 2022 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	ნანა ედიშერაშვილი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით			
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☐	☒
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.3.	
	1.6	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6.1*	სკოლას 2019 წელს მიღებული აქვს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა კონკრეტული რეკომენდაციებით, რომლის შესრულების მაჩვენებელი და ვადები დარღვეულია. მაგალითად: დასამონტაჟებელია სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო მანათობელი მანიშნებლები; ცეცხლმაქრები საჭიროებენ გადამუხტვას.
	2.7.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	
	3.2	
	3.4	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.1.	
	1.1	
	1.2	
	1.6	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	2.1.	განახლდეს შენობის აზომვითი ნახაზი;
	2.1.3	მოეწყოს სპორტული დარბაზის გასახდელები .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2.4.	მოეწყოს ადაპტირებული სველი წერტილი.
	2.6.1	სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით გამოვლენილ ხარვეზებზე სკოლამ მოახდინოს დროული რეაგირება.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	
	3.4	
	3.5	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა ჩართულია eTwinning-ის პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში სკოლის მიერ განხორციელებულ 3 პროექტს მინიჭებული აქვს ეროვნული და ევროპული ხარისხის ნიშანი.

დაწესებულების მისია	სკოლის ძირითადი მისია: 1.მოსწავლეთა მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება; 2. ხელსაყრელი პირობების შექმნა თვითრეალიზაციისათვისა და ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის; 3. მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების, კანონმდებლობის, ადამიანთა უფლებების და თავისუფლებების ეროვნული ღირებულებების პატივისცემის ჩამოყალიბება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	4.რელიგიური შემწყნარებლობის, განსხვავებული აზრის მოსმენის და პატივისცემის, შრომისადმი სიყვარულის და პასუხისმგებლობის გრძნობით მოსწავლეთა აღზრდა; 5.მოსწავლეებს საფუძვლიანად შეასწავლოს სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა საგანი, მოამზადოს ისინი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის; 6. იზრუნოს სამართლიანი და თბილი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**წინა მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში 2018 წელს სკოლამ მიიღო რეკომენდაციები:** 1. 3 მასწავლებელი იყო სტატუსის გარეშე და ადამიანური რესურსის მიმართებით იქმნებოდა შეუსაბამობა; **2022 წლის ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, შესრულების სტატუსი- დაკმაყოფილებულია;**

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	☒	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 158	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ინტელექტში“ (შემდგომში სკოლა) ზოგადი განათლება იყოფა სამ საფეხურად: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებად. დაწყებითი საფეხური გულისხმობს 1-6 კლასებს, საბაზო 7-9 კლასებს, ხოლო საშუალო 10-12 კლასებს. სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია თითოეული საფეხურის ძირითადი ამოცანები. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე. 2021-2022 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ ნაწილებს: • სკოლის მისია; • საათობრივი ბადე; • შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების და სემესტრების მიხედვით; • გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების და საგნების მიხედვით; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა ; • საგნობრივი კათედრები; • ინკლუზიური განათლება; • სადამრიგებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შიდასასკოლო მონიტორინგის პრინციპები სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი დანართი N 1 სახით. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი; II – XII კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი; გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია გაკვეთილების განრიგი ყველა კლასისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას; მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია დისტანციური სწავლების შემთხვევაში გასათვალისწინებელი რეგულაციები და პროცედურები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე. სკოლა დისტანციურ-ჰიბრიდულ მოდელზე სინქრონული სწავლებისას იყენებს GOOGLE MEAT პლატფორმას. გაწერილია დისტანციური სწავლების დროის განრიგი, დღის რეჟიმი, მონიტორინგს მექანიზმები. სკოლაში ფუნქციონირებს 6 კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; • მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა; • ესთეტიკა და ფიზიკური აღზრდის კათედრა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• უცხოური ენების კათედრა; სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. წარმოდგენილია კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის ფუნქციები, თითოეული კათედრის მუშაობის მახასიათებლები. წარმოდგენილია ასევე შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით. სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და წარმოადგენს მის ანალოგს. შპს " ინტელექტის" სასკოლო სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ინტელექტის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 6 სექტემბრის ოქმი N1; • შპს ინტელექტის დირექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის ბრძანება #2-43; • სკოლის 2021-2022 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა; ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ინტელექტში" სწავლება ქართულენოვანია, სწავლა-სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადეების მიხედვით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლებისა და კათედრის პორტფოლიოებში მოთავსებულია თემატური გეგმები, განხორციელებული კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოების ამსახველი მასალები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. მოცემული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესები. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ფოიეში, თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, კედლის გაზეთები, პოსტერები, ნახატები, კომიქსები, ნაკეთობები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო პროექტში. ნამუშევრები სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინის ფარგლებშია წარმოდგენილი: „ჯონ ლეგდონ დაუნი“, „მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“, „დანაგვიანებული გარემო“, „ბიო პრინტერები“, „ჩვენ და ენერგია“, „2021 წლის აღმოჩენები“, „საქართველოს კუთხეები“, „დინოზავრები“, „ლაგოდეხის ნაკრძალი“ და სხვა. 2021-2022 სასწავლო წლის მიწურულს სკოლამ V-XII კლასებში თითოეულ საგნობრივ პროგრამაში გააკეთა სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის მიზანიც იყო გაერკვიათ COVID 19-ის გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე. მოცემულ შედეგები სკოლას საშუალებას აძლევს მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა მეტად მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ გრიფმინიჭებული სახელმღვანელოები. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები და პრინციპები, დამრიგებლის მუშაობის მიზანი, კლასის დამრიგებლის კრიტერიუმები, რეკომენდაციები „სადამრიგებლო საათის“ განხორციელებისთვის, ოქმის ფორმა, სადამრიგებლო საათის თემები მიმართულებების მიხედვით, სადამრიგებლო საათის სპეციფიკა დაწყებით კლასებში. დამრიგებლებს აქვთ პორტფოლიოები, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თავს იყრის მათ მიერ განხორციელებული აქტივობები, სადამრიგებლო საათის ამსახველი მასალები, მშობლებთან შეხვედრის ოქმები და სემესტრული/წლიური ანგარიშები. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწავლებისას ხელი ეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დასტურდება. სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ინტელექტის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 6 სექტემბრის ოქმი N1; • შპს ინტელექტის დირექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის ბრძანება #2-43; • სკოლის 2021-2022 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა; • კლასის დამრიგებლების პორტფოლიოები, ანგარიშები; • კათედრის პორტფილოები; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; მოსწავლეებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ინტელექტის“ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, თუ შეფასების კომპონენტების ნაწილებში იკვეთება, რომ სკოლა ფუნქციონირებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არიან რეალიზებულნი, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მათ საინტერესო და სახალისო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური საწავლების კონცეფცია და ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმით წარმოდგენილი რეგულაციები ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად დეტალურად არის გაწერილი და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რაც განაპირობებს შემდგომში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. ასევე გაწერილია რეგულაციები მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონდე მოსწავლე არ ირიცხებოდა. წარმოდგენული დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ინტელექტის პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 6 სექტემბრის ოქმი N1; • შპს ინტელექტის დირექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის ბრძანება #2-43; • სკოლის 2021-2022 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • სადამრიგებლო პროგრამები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ინტელექტში“ შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდეგნილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შედეგებთან მიმართებაში. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ესგ-ით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისია. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით. ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10. კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალურ ბარიერად დაწესებულია 5,0 ქულა. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართში მოცემულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა კლასების მიხედვით. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ: ესეს დაწერა, პროექტის მომზადება , ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე- გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა). კათედრის პორტფოლიოებში წარმოდგენილია თითოეული მასწავლებელის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების როდენობა, ვადები, ხოლო მასწავლებლების პორტფოლიოებში შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების /კრიტერიუმების ნიმუშები , რომელიც დანართი N 1 სახით თან ერთვის. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შედეგების ანალიზის ფორმების შინაარსით ჩანს, რომ დაწესებულება აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან მეთოდოლოგიას. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი მასწავლებლებისგან იღებენ სიტყვიერ და წერილობით უკუკავშირებს კომენტარების სახით. სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები: • სემესტრული გამოცდა; • საშემოდგომო გამოცდა; • ექსტერნატის გამოცდა; 2021- 2022 სასწავლო წელს სკოლაში არ ტარდება წლიური გამოცდები. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების ½-ზე მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით _ „თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე“. სკოლამ განაცხადა, რომ მოცემული ფორმულირება იყო ტექნიკური ხარვეზი და რეალურად ისინი ხელმძღვანელობენ ესგ-ს რეგულაციის მიხედვით. 2021-2022 სასწავლო წლის მიწურულს სკოლამ V-XII კლასებში თითოეულ საგნობრივ პროგრამაში გააკეთა სადიაგნოსტიკო შეფასება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომლის მიზანიც იყო გაერკვიათ COVID 19-ის გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე. მოცემული შედეგებით სკოლამ განსაზღვრა მოსწავლეთა საჭიროებები, საგნობრივი პროგრამების ფარგლებში ესგ-ს სტანდარტების დაფარვის მასშტაბები. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. თუმცა, დოკუმენტი აზუსტებს, რომ ნიმუშები მოცემულია მაგალითის სახით და თითოეულმა მასწავლებელმა შესაძლებელია თვითონ შეიმუშაოს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის 2021-2022 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა; დანართი-შეფასების რუბრიკები; • კეთედრების პორტფოლიო; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები/კურიკულუმები; • შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები; • შემაჯამებელი სამუშაოს სემესტრული ანალიზის ფორმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ინტელექტსა“ და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება შინაგანაწესითა და ხელშეკრულებით. შინაგანაწესში წარმოდგენილია მშობლებთან ურთიერთობა. სკოლა: • ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასწავლო პროცესში. • მშობლის სურვილის შემთხვევაში, განმარტებებს აძლევს მშობლებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• თანამშრომლობს მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში ატარებს მათთან ინდივიდუალურ შეხვედრებს. • მშობლებთან ურთიერთობას თანამშრომლობის ფორმით წარმართავს. კლასის დამრიგებლების მნიშვნელოვანი მოვალეობაა: • შეაგროვოს ყველა მშობლის აქტუალური საკონტაქტო ინფორმაცია, რომ შეძლოს მოსწავლის ოჯახთან დროული დაკავშირება საჭიროების შემთხვევაში. • შეატყობინოს მშობელს მოსწავლის მხრიდან დისციპლინური დარღვევის ჩადენის შესახებ და ხელი შეუწყოს მის ჩართვას დისციპლინურ ღონისძიებებში. • მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შუამავლობა პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში. • მშობლებისთვის შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების გაცნობა მინიმუმ თვეში ერთხელ. • სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შედეგად მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ. • ინდივიდუალური შეხვედრების დროს აცნობოს მშობლებს შვილის მოსწრების შესახებ. • გაიგოს მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის მიზეზი. • ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენები და საგნის მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა მიმდინარე განმსაზღვრელი შეფასების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობით გამოყვანილი განმსაზღვრელი სემესტრული და წლიური შეფასება ზუსტად შეიტანოს ელექტრონულ საკლასო ჟურნალში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების აღრიცხვის გვერდზე. • ოფიციალურად გააფრთხილოს მშობელი შვილის მიერ გაკვეთილების არასაპატიო გაცდენებისა და დაბალი აკადემიური მოსწრების შესახებ. • მინიმუმ წელიწადში ერთხელ, მშობლებთან და მოსწავლეებთან ერთად წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით წაიყვანოს კლასი ექსკურიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ საუბარი მეორის მშობლის თანდასწრებით. შინაგანაწესის მუხლი 11-12-ში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის მშობლის უფლება-მოვალეობები. სკოლა მშობელთან საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს edupage-ზე. ამ ინსტრუმენტის საშუალებით მშობელი ინფორმირებულია შვილის განმავითარებელი და განსმაზღვრელი შეაფსების შედეგებით, იღებს ინფორმაციას დავალებებზე, საშუალება აქვს კომუნიკაცია ჰონდეს დამრიგებელთან და მასწავლებლებთან. სკოლის ექვსწლიან სამოქმედო გეგმაში 2022-2023 სასწავლო წლისთვის განსაზღვრულია მშობელთა კომიტეტის შექმნა, რომელიც უხელმძღვანელებს სკოლის განვითარებას, ასევე, შეიმუშავებს ინიციატივების, რეკომენდაციების, შენიშვნების სისტემას სკოლის მომავალი განვითარების უზრუნველსაყოფად. მშობლებთან გასაუბრებისას ისინი აღნიშნავდნენ, რომ ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. ელექტრონული ჟურნალის გარდა, ისინი აქტიურად სარგებლობენ სკოლის ვებგვერდით, სკოლის გვერდით სოციალურ ქსელში (Facebook). ასევე დამრიგებლებს აქვთ ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მშობლები სწრაფად იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • სადამრიგებლო პროგრამები; • მშობლებთან გასაუბრება • შპს ინტელექტის ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ინტელექტს“ წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემისა და დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შექმნილია შეფასებისა და ხარისხის განვითარების მონიტორინგის ჯგუფი. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. მიმდინარეობს მონაცემთა შეგროვება მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიღწევების შესახებ და აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მოსწავლეების შედეგების ამაღლების მიზნით. ხარისხის განვითარების ჯგუფი სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავებს : ა) შეფასებისა და დაკვირვების ფორმებს ; ბ) ამუშავებს შეფასების სტრატეგიის დოკუმენტს; გ) აფასებს თემატურ და სასწავლო გეგმებს ; დ) ამუშავებს პედაგოგთა შეფასების სტრატეგიებს ; ე)შეიმუშავებს კითხვარებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის; ვ) ამუშავებს გაკვეთილის შეფასების სტრატეგიებს ; ზ) მონიტორინგს უწევს შეფასების პროცესის მიმდინარეობას ; თ) აჯამებს და აანალიზებს მიღებულ შედეგებს ; ი) შედეგებიდან გამომდინარე სთავაზობს სკოლის დირექციას მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის რეკომენდაციებს. სკოლაში მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესის, სააღმზრდელო პროცესის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტის მიღწევების, მოსწავლეთა მიღწევების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, სასკოლო გარემო და სკოლის საერთო კულტურის მონიტორინგი და გადანაწილებულია პასუხისმგებლოები შესაბამის რგოლებზე და თანამშრომლებზე. მასწავლებლების აზრის გათვალისწინება დადებითად აისახება სწავლა- სწავლების პროცესზე, ვინაიდან შეფასება აღქმულია, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. მონიტორინგის ჯგუფი ამ დროს ივითარებს კვლევის უნარ-ჩვევებს , რაც დაეხმარებათ როგორც პროფესიულ განვითარებაში , ასევე საგაკვეთილო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლისა და მასწავლებლის მიერ პროცესის შეფასებას. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა შეფასებისა და ხარისხის განვითარების ჯგუფი. გაწერილია დებულება და განხორციელებულია აქტივობები. წარმოდგენილია კათედრის ხელმძღვანელების, მასწავლებლებისა და დამრიგებლების სემესტრულ-წლიური ანგარიშები მომდინარე სასწავლო პროცესების შესახებ. არსებული სასწავლო/სადამრიგებლო პროგრამების მონიტორინგი, მისი გაუმჯობესების მიზნით, ეფუძნება სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მასწავლებელთა/კათედრების/ დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. 2022 წლის გაზაფხულზე სკოლამ ორგანიზება გაუკეთა სადიაგნოსტიკო ტესტირებებს სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რათა შეეფასებინათ პანდემიის გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდებიდან გაამოყენებულია SWOT ანალიზი, მონაცემთა ორგანიზების შემდეგ პრობლემების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული ჯგუფი გამოკვეთს იმ საკითხებს, სადაც არასასურველი შედეგი დაფიქსირდება და იწყებს დამდგარი შედეგის გამომწვევ მიზეზებზე ფიქრს. პედაგოგები ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და განვლილ წელს განხორციელებული დაკვირვების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით თითოეული კლასისთვის ამზადებენ საგნობრივ სასწავლო გეგმას (კურიკულუმს), რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნაწილს წარმოადგენს. კლასის დამრიგებლები კი ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, კონკრეტული კლასისთვის, ერთ სემესტრზე ამზადებენ სადამრიგებლო გეგმას. კათედრა განიხილავს რა პედაგოგების მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებს (მატრიცებს), გასცემს უკუკავშრის კონკრეტულ გეგმასთან დაკავშირებით. სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით ტარდება პედაგოგიური საბჭოს კრება, სადაც განიხილება და მტკიცდება სასკოლო სასწავლო გეგმა. მოცემულ პროცდურებში მნიშვნელოვანი როლი აქვს კათედრას. სკოლის დირექტორის მოადგილე ეწევა სასწავლო პროცესის მონიტორინგს: ესწრება საგაკვეთილო პროცესებს და აკვირდება პედაგოგის მუშაობას წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. დაკვირვების შედეგები განიხილება პედაგოგთან პირისპირ გასაუბრებით. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრებისა და ტრენინგების საკონტაქტო საათების რაოდენობა დაზუსტებულია მთავრობის N390 დადგენილებით. ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო ჯამდება, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რაც წარედგინება სკოლის დირექტორს. შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. (პედსაბჭო, მშობელებთან შეხვედრები) სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მუშავდება მომდევნო წლის სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ინტელექტის“ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემისა და დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი • შპს „ინტელექტის“ 2021-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები • გასაუბრება დირექციასთან/ მასწავლებლებთან/ მშობლებთან/ მოსწავლეებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1041კვ.მ;	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ინტელექტი ს/კ 240393409 ფუნქციონირებს მისამართზე: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქობო. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად დაწესებულებას 2017 წლიდან ,იჯარით სსიპ თვითმმართველი თემი სიღნაღის მუნიციპალიტეტისგან მიღებული აქვს № 3 შენობა (ფართი 1041 კვ.მ.) 10 წლის ვადით სარგებლობის უფლებით. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დაიწყო შიდა აზომვითი ნახაზის გაკეთება.
ფაქტობრივი მისამართი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქობო, ქუჩა უნივერსიტეტი, № 32
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	№ 56.03.57.046
კვ.მ.	1041კვ.მ;
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882022164753; 14/03/2022
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია 160 ერთეული, როგორც ორადგილიანი ისე ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამხმარე თვალსაჩინოებებით–პლაკატები, ქიმიური ტაბულებით, სქემებით და სხვა მატერიალური საშუალებებით. სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია შიდა კიბით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასაქონლო ზედნადებები; • საგადასახადო გადარიცხვის ქვითრებით და მიღება-ჩაბარების აქტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის მე-3 სართულზე არსებულ ფართს დაწესებულება იყენებს როგორც სააქტო , ისე სპორტულ დარბაზად. სკოლამ მიიღო რეკომენდაცია მოაწყოს სპორტულ დარბაზის გასახდელები, როგორც ვაჟებისთვის ისე გოგონებისთვის. სკოლას აქვს სპორტული ინვენტარი: ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, კრივის ტომარა და ხელთათმანები, ლახტები, წამზომები, ბაგირი და სხვა. დარბაზს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. ექსპერტთა რეკომენდაციით, მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, სკოლამ ვიზიტის პერიოდში დარბაზის ფანჯრებზე გააკრა დამცავი ბადეები. სკოლის უზუფრუქტის ხელშეკრულებით სარგებლობდა სიღნაღის სსიპ თვითმმართველი თემის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ღია ტიპის 2400 კვ.მ. სპორტული მოედნით. ვიზიტის დროს სკოლას გაგზავნილი ქონდა წერილი (№ 4-36) სიღნაღის მერის სახელზე ხელშეკრულების გაგრძელების თხოვნით. მიწერილობის თანახმად სკოლა იღებს ვალდებულებას გააგრძელოს სტადიონის მოვლა-პატრონობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • წერილი (№ 4-36) სიღნაღის მერის სახელზე; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს ბიოლოგიის და ფიზიკის კაბინეტი, შესაბამისი საგნის სტანდარტული ლაბორატორიული აღჭურვილობით, რომელიც განლაგებულია მომიჯნავე ოთახში. როგორც ლაბორატორიის ძირითად ოთახს , ისე დამხმარე ოთახს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების შესაძლებლობა. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ნიჟარა წყლის სისტემით. საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით სასურველია ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგადასახადო დავალება ლაბორატორიის აღჭურვილობის შპს. ,,ჯეო დეკორისგან " შეძენის შესახებ; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი და პირველ და მეორე სართულზე ცენტრალური გათბობის სისტემით. რაც შეეხება მესამე სართულს სკოლა იყენებს კლასებში ელექტრო და შეშის ღუმელებს. სკოლას მიეწოდება სასმელი წყალი, დერეფანში დგას სასმელი წყლის დისპენსერი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობის ყველა სართულზეა სველი წერტილები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია საპირფარეშოებში პრივატულობის დაცვის მიზნით ღია კაბინებში დააყენოს კარებები. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გათბობის ქვაბის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები: • კომუნალური გადახდის ქვითრები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ბიბლიოთეკა შენობის მესამე სართულზეა განთავსებული. ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, თაროებზე თემატურად დალაგებულია პერიოდიკა, დამხმარე პროფესიული ლიტერატურა, წიგნები, მათ შორის სსგ-ით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით და გატარებული ბიბლიოთეკის ჟურნალში. სკოლის წიგნადი ფონდი შეადგენს 1880 ერთეულ წიგნს. ბიბლიოთეკის სივრცეში გამოყოფილია ბიბლიოთეკარის სამუშაო ადგილი, სამკითხველო 2 მაგიდა სკამებით. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ბიბლიოთეკაში განათავსა კომპიუტერი . ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ 21.09.2021 წელს N 2-42 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის დებულება; • ბიბლიოთეკართან დადებული ხელშკრულება; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტი , შესყიდვის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკართან ინტერვიუირება; • მკითხველის სარგებლობის შესაბამისი ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადაპტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად, დაწესებულების შესასვლელში მოწყობილია მოძრავი პანდუსები. ნაწილობრივ ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი, რომელშიც განთავსებულია ე.წ. „თურქული ტუალეტი“. სკოლას შეძენილი და დასაწყობებული აქვს ადაპტირებული სველი წერტილისთვის საჭირო უნიტაზი. სკოლამ მიიღო რეკომენდაცია სველი წერტილი გახადოს სრულად ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მოსწავლეთა და სხვა პირთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას. ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	➢ ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიდან აქვს : ➢ სკოლის ვებ–გვერდი- https://signagi-inteleqti.edupage.org/; ➢ ელექტრონული ფოსტა inteleqtiliceumi@gmail.com; ➢ სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალი **„EduPage“** ასრულებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ფუნქციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	➢ ინტერნეტქსელში ჩართული **ჯამში სულ 11 კომპიუტერი,** აქედან 8 კომპიუტერი განთავსებულია ისტ ლაბორატორიაში, ადმინისტრაციის და სამასწავლებლო ოთახებში განთავსებულია 2 კომპიუტერი, ერთი კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში. DSL ინტერნეტ მომსახურებას ანხორციელებს კომპანია სს ,,სილქნეტი“. წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი. სკოლის ვებ- გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. <u>სასურველია სკოლა გაძლიერდეს ტექნოლოგიური რესურსების კუთხით.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ნასყიდობის ხელშეკრულება ი/მ გიორგი სამხარაძესთან ელექტრონული ჟურნალის ერწლიანი ლიცენზიის შესახებ. • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: სასაქონლო ზედნადები; • საგადასახადო დავალების ქვითრები; • სკოლის ვებ- გვერდი- https://signagi-inteleqti.edupage.org/; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დირექტორის მიერ 19.09.2021 წელს დამტკიცებული აქვს ,,შპს ინტელექტის პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია ხანძრის შემთხვევაში“. 2020 წელს მიღებული აქვს სახელმწიფო სახანძრო და <u>სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა № 418 , რომლის შესრულების მაჩვენებელი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ტერიტორიაზე არსებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით განთავსებულია 4 ცეცხლმაქრი, შესაბამისი საინფორმაციო პოსტერებით. ცეცხლმაქრები საჭიროებენ გადამუხტვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა № 418 14.02.2020; • ცეცხლმაქრების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე გამოკრულია შპს ,, ერისი"-ს მიერ 2017 წელს, მღება-ჩაბარების აქტი-№2168 შედგენილი საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	➢ თვალისაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმები; ➢ ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე. სამედიცინო კაბინეტის გვერდით მოწყობილია საიზოლაციო ოთახი. სკოლის ექთანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ადგილზე დათვალიერებისას გადამოწმდა მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა, მედიკამენტების გაცემა აღირიცხება ექიმის მიერ სპეციალურ ჟურნალში. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პანდემიის პირობებში ინფექციური დაავადებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა" და დირექტორის ბრძანებით № 1კ-18 გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში გეგმიურად ტარდება სასმელი წყლის ლაბორატორიული ანალიზი და სკოლის სრული დეზინფექცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	➢ ხელშეკრულება ექთანთან; ➢ ,,პანდემიის პირობებში ინფექციური დაავადებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა"; ➢ სკოლის ექთნის უფლება-მოვალეობები; ➢ ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი, განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლას ვიზიტის პერიოდში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (წერილი № 4-38 06.07.2022) შესათანხმებლად ქონდა გადაგზავნილი მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" შესაბამისად შექმნილი წესის პროექტი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია თვალყური ადევნოს და დროულად გაითვალისწინოს საკანონმდებლო სიახლეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება დარაჯთან; • სკოლის (წერილი № 4-38 06.07.2022) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა პერიმეტრზე (დერეფნებში) დამონტაჟებულია 2 , ხოლო სკოლის გარე პერიმეტრზე ჯამში 4 ვიდეომეთვალყურეობის კამერა , რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგი და ჩაწერა ხორციელდება ისტ კაბინეტში. ვიზიტის პერიოდში სკოლის მესამე სართულზე ამავალ კიბის უჯრედში , რომელიც არ იყო ხილვადი დამონტაჟდა 1 სამეთვალყურეო კამერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • სასაქონლო ზედნადები ; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვას ახორციელებს სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად. შინაგანაწესი დამტკიცებულია 06.09.2021 წელს სკოლის დირექტორის მიერ ბრძ. N2-42 . მასში ვიზიტის დროს განხორციელდა ცვლილებები: თანამშრომელთა მიღების წესი მოვიდა შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პირობებთან, (შიდა და გარე კონკურსი, განაცხადის განთავსება და სხვ.), გაიწერა_შვებულების მიცემის დრო და პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის დროს სკოლამ შეიმუშავა და დირექტორის ბრძანებით №2-39 07.07.2022 დაამტკიცა სკოლის სტრუქტურა სქემატური სახით. შინაგანაწესში გაიწერა კონკრეტულ გადაცდომაზე კონკრეტული სახდელები და ასევე, რა შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინური გადაცდომის სიმძიმედ ან/და ხარისხად. სკოლამ მიიღო რეკომენდაცია უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. კანონმდებლობის და სკოლის საჭიროებებზე დაყრდნობით მუდმივად განაახლოს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება ; • სკოლის შინაგანაწესი; • სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • პედაგოგიური საბჭოს ოქმი; • ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები ბრძ. N2-42 06.09.2021 . გრძელვადიანი გეგმა მოიცავს მიმართულებებს ან სფეროებს, ჩაშლილია აქტივობებად, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების საკითხებსაც. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მიმართულებებს და ამოცანებს რომელიც გაწერილია დროში და ასახავს შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. სასურველია ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში ჩანდეს ანალიზის შედეგები და ლოგიკური კავშირი საჭიროებებსა და ინტერვენციებს შორის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა 2021-2027 ; • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2021-2022.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გახსნილია ბრძანებების წიგნი, მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდენციის , ხელშეკრულების რეგისტრაცია შესაბამის ჟურნალებში, რომელიც დანომრილი და აკინძულია. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სატიტულო ფურცელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • საერთო ბრძანებების ჟურნალი; • ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	• განახლდეს შენობის აზომვითი ნახაზი; • მოეწყოს სპორტული დარბაზების გასახდელები . • მოეწყოს ადაპტირებული სველი წერტილი, • სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით გამოვლენილი ხარვეზებზე სკოლამ მოახდინოს დროული რეაგირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	• გაეცნოს საკანონმდებლო სიახლეებს და ვადების დაცვით განახორციელოს შესაბამისი აქტივობები; • სასურველია სკოლა გაძლიერდეს ტექნოლოგიური რესურსების კუთხით.
ხარვეზები:	2020 წელს მიღებული აქვს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა № 418 , რომლის შესრულების მაჩვენებელი არ არის დაკმაყოფილებული.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში eschool-ის მართვის ერთიანი საინფორმაციო ბაზის მიხედვით სწავლობს **114** მოსწავლე, დამატებით დარეგისტრირებულია **9** პირველკლასელი, დასაქმებულია **35** თანამშრომელი, მათ შორის **27** მასწავლებელია. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება სკოლის 2021–2022 სასწ. წლის საათობრივ ბადეს. სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, სასწავლო – აღმზრდელობით პროცესზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. სკოლას ჰყავს ექთანი, ბიბლიოთეკარი, ისტ მენეჯერი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, საქმისმწარმოებელი,ბუღალტერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საათობრივი ბადე; • საშტატო განრიგი; • eschool-ის მართვის ერთიანი საინფორმაციო ბაზა; • ხელშეკრულებები პერსონალთან; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	27
მოწვეული/მაძიებელი	11/1
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	15
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0
უსტატუსო	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომლებსაც ასწავლიან.შესაბამისი კვალიფიკაცია უდასტურდება ადმინისტრაციულ–ტექნიკურ პერსონალსაც. თითოეულ მათგანთან სკოლას გაფორმებული აქვს სტანდარტული ხელშეკრულება. აღნიშნულ პედაგოგებს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში უდასტურდებათ შესაბამისი საგნის კვალიფიკაცია. მასწავლებლებმა ვიზიტის პერიოდში გააკეთეს ელექტრონული განაცხადი ცნობებზე-ნასამართლეობისა და და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პირადი საქმეები • სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები; • eschool-ის მართვის ერთიანი საინფორმაციო ბაზა; • ინტერვიურება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თანამშრომელთა მიღების მიზნით სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეიმუშავა სკოლაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი. თანამშრომელთა მიღება, გათავისუფლება, ასევე წახალისება და სანქციები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • სკოლაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი; • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან და ადმინისტრაციულ–ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია, დანომრილია და აღრიცხულია სარეგისტრაციო ჟურნალში შრომითი ხელშეკრულებები. ასევე თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც განთავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. ვიზიტის პერიოდში შრომით ხელშეკრულებებში შევიდა ცვლილება და მოვიდა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები; • ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლის ბაზაზე, პროფესიული განვითარების მიზნით ეწყობა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები, როგორც ერთი კათედრის მასწავლებლებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შორის, ასევე სხვადასხვა კათედრის მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის, მათ შორის გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფარგლებში. მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. მონაწილეობენ სტატუსის შესაბამის საგნობრივ ტრენინგებში, გაერთიანებული არიან მესამე თაობის ესგ –ის დანერგვისა და განვითარების ჯგუფში. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მათი დებულება. დებულების მიხედვით ჯგუფს ევალება მასწავლებლის მიერ პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შეფასება და ასევე გაკვეთილზე დასწრება და მასწავლებლისთვის განმავითარებელი შეფასებების მიცემა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის მიერ განხორციელებული მიზნობრივი აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის გაკვეთილებზე დასწრების, მიცემული უკუკავშირის და შესაბამისი ადამიანური რესურსის საჭიროებათა დადგენა/განსაზღვრის აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის ბრძანება „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ; • სკოლების მართვის ელექტრონულ ბაზაში (eSchool) განთავსებული ინფორმაცია • ინტერვიურება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამშრომელთა , პედაგოგებსა და მოსწავლეთა შორის არის თანამშრომლობითი დამოკიდებულება. მშობლებთან ინტერვირებით გამოიკვეთა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან სკოლის შედეგებით. აღნიშნავდნენ სკოლის ადმინისტრაციის ყურადღებას და კეთილგანწყობას, როგორც მათ მიმართ, ასევე ბავშვების მიმართ. ხაზს უსვამდნენ მასწავლებელთან აქტიურ კომუნიკაციას და მასწავლებლების მზაობას ითანამშრომლონ მშობლებთან და ბავშვებთან. სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა სამუშაო ატმოსფერო. შენობის დერეფნები და საკლასო ოთახები გაფორმებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრებით. ხელოვნების მასწავლებელს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განხორციელებული აქვს პროექტი და მოხატული აქვთ სკოლის კედლები. სკოლა ჩართულია eTwinning-ის პროგრამაში. სკოლის მიერ განხორციელებულ 3 პროექტს : ,,consume and consciously and protect the ecological balance" ; ,,E-Guruming" ; ,,Climate Cange and ART Pandemic " მინიჭებული აქვს ეროვნული და ევროპული ხარისხის ნიშანი. მასწავლებელთა პორტფოლიოების შემოწმებით გამოჩნდა მასწავლებელთა თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების და რესურსების გაზიარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ როგორც მასწავლებლებს, ასევე ადმინისტრაციას თავისი იდეების განხორციელებისათვის. სკოლაში ინტერესების მიხედვით შექმნილია სხვადასხვა კლუბი, (ბიო კლუბი, წიგნის კლუბი). სკოლაში 2021-2022 სასწავლო წელს განხორციელდა ფართომასშტაბიანი გარემოსდაცვითი სასკოლო პროექტი. მშობლებთან ინტერვიურების დროს აღინიშნა , რომ სკოლაში მათი შვილი უსაფრთხოდაა. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით, სადამრიგებლო პროგრამებისა და სადამრიგებლო ანგარიშების შესწავლით, ვიდეო და ფოტომასალის გაცნობით შეგვიძლია დავასკვნათ , რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო პროექტები და ღონისძიებების ანგარიშები და მათი ამსახველი ფოტომასალა; • ვებგვერდი; • სოციალური ქსელი ; • ელექტრონული ჟურნალი; • ინტერვიურება .
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) ქ.თბილისი
თარიღი 09/08/2022
გვერდების რაოდენობა 45 გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.